მესტიის მუნიციპალიტეტი

პანორამა „მხერის“ მთიდან,
თამარ გოშთელიანის ფოტო

2022 წელი, №7 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

დაბა მესტიაში თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე სკვერის რეაბილიტაცია დასრულდა

დაბა მესტიაში თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე სკვერს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სკვერის მოწყობისთვის მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 258 516 ლარი.

პროექტის ფარგლებში მოეწყო სპორტული ტრენაჟორების მოედანი და საბავშვო გასართობი ატრაქციონები. მოედნებზე დაიგო კაუჩუკის სპეციალური ფილები, ხოლო სპორტული ტრენაჟორების მოედანზე მოეწყო ლითონის კონსტრუქცია და გადაიხურა პროფფენილით.

სკვერში მოეწყო დეკორატიული ფანტანი, განათებები. განთავსდა ასევე მოსასვენებელი სკამები და სანაგვე ურნები, სკვერი შემოღობილ იქნა ლითონის კონსტრუქციის ღობით.

სამშენებლო სამუშაოები შეასრულა ელექტრონულ ტენდერში (NAT210011092) გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „ბერმუხამ“ .

ფარის ადმინისტრაციული ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის ტერიტორიულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაა 2 130 434 (ორი მილიონ ას ოცდაათი ათას ოთხას ოცდათოთხმეტი) ლარი.

საავტომობილო გზა იწყება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის 101-ე კილომეტრის მიმდებარედ და გრძელდება ჩრდილოდასავლეთით სოფ.ფარის მიმართულებით, სადაც გაივლის სოფ.ლამხერს და სოფ.ზაგარის მიმდებარე ტერიტორიას. სარეაბილიტაციო მონაკვეთის სიგრძე 2000 მეტრია, ხოლო სიგანე 4,5 მ. პროექტის მიხედვით შენარჩუნებულია არსებული გზის გეგმის გეომეტრიული პარამეტრები და გზის ღერძი ემთხვევა არსებული გზის ღერძს.

ამ ეტაპზე გზის სავალი ნაწილის გაფართოების და მიწის ვაკისის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით მიწის ვაკისის დამუშავების შემდეგ გზის ქვედა ფენაზე მოეწყობა 25 სმ-იანი ქვიშა-ხრეშოვანი ფენა და დაიგება 16 სმ-იანი არმირებული ცემენტბეტონის საფარი. აღნიშნული გზის რეაბილიტაციის განხორციელება უმნიშვნელოვანესია სოფელი ფარის მოსახლეობისთვის, რადგან წვიმების დროს, მოლიპული გრუნტის გზა საფრთხეს უქმნიდა გზაზე მოძრავ ავტომობილებს.

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში (NAT220019527) გამარჯვებული კომპანია „თავადი-I“ ასრულებს.

იდლიანის ადმინისტრაციული ერთეულში დაკიდული ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს

მესტიის მუნიციპალიტეტში იდლიანის ტერიტორიულ ერთეულში 130 მეტრი სიგრძის დაკიდული ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 1 402 310 (მილიონ ოთხას ორი ათას სამას ათი) ლარს შეადგენს.

ხიდის მშენებლობის განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იდლიანის მოსახლეობისთვის. იდლიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენის ინფორმაციით, მოსახლეობისთვის ამ ხიდის მშენებლობა ოცნებადაც კი იყო ქცეული, მრავალი წლების განმავლობაში მოსახლეობას უწევს შემოვლითი საავტომობილო გზებით სიარული, რაც პრობლემას ქმნიდა განსაკუთრებით დიდთოვლიანობის დროს, ასევე სასწრაფო დახმარების მიღებაც ხშირ შემთხვევაში დაგვიანებული აღმოჩენილა. ხიდის დარულების შემდეგ, მოსახლეობას იდლიანის ცენტრამდე 7 კილომეტრის მაგივრად ერთი კილომეტრის გავლა მოუწევთ.

ხიდის მშენებლობა ხელშეკრულების მიხედვით უნდა დასრულდეს 2023 წლის აგვისტოს თვეში.

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში (NAT210004538) გამარჯვებული კომპანია შპს „სახარია“ ასრულებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის 2022 წლის 9 თვის ანგარიში

სოციალური დაცვის სამსახური 2022 წლის განმავლობაში ადმინისტრირებას უწევს 23 სოციალურ პროგრამას, რომლებიც მოიცავენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს. პროგრამები ითვალიწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ და სსმ საჭიროების მქონე პირების, მარჩენალდაკარგული ოჯახების, დიალიზით მოსარგებლე და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების, ონკოლოგიური და ფსიქიური პრობლემების მქონე პირების , უსახლკაროთა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას, როგორც სერვისის მიწოდების ასევე ფულადი დახმარების გაცემის გზით.

2022 წლისთვის წინა წლების ანალიზის შედეგად, ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები გახდა უფრო მიზნობრივი და ხელს უწყობს მოსახლეობის სიღარიბის შემცირებას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბოლო წლების ანალიზმა გამოავლინა, რომ მოსახლეობის მხრიდან გაიზარდა ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები, აქედან გამომდინარე შემუშავდა სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების დაფინანსებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამები, რამაც მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვის მომსახურებები.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის (12 თვის გეგმა) ბიუჯეტით სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილია 690 850 ლარი (აქედან 2021 წლის ნაშთი 17 277 ლარი) აღნიშნული თანხა საჭიროებისამებრ გადანაწილდა:

- ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა - 24 450 ლარი;
- მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა - 327 955 ლარი;
- ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა - 6 000 ლარი;
- მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 210 500 ლარი;
- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა - 90 945 ლარი;
- უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა - 21 000 ლარი;
- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - 10 000 ლარი;
- ბავშვთა და შშმ პირთა სოციალური დაცვა - 427 ლარი;
- სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის -დევნილის სტატუსის მქონე მძიმე ავადმყოფების (მათ შორის შშმ.პირის) სოციალური დაცვა - 5505 ლარი;
- მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა - 10 000 ლარი;
- სტიქიის (მათ შორის ხანძრით) დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა - 1 345 ლარი;

2022 წლის 9 თვის განმავლობაში **შემოსულია 1572 განცხადება**, კატეგორიების მიხედვით დახმარება გაეწია **1222 განმცხადებელს 660 027.50 ლარის** ოდენობით;

242 განცხადება განხილვის პროცესშია (96 განცხადებაზე აღებულია ვალდებულება, გაცემულია საგარანტიო წერილი სამედიცინო მომსახურების დაფინანსების/თანადაფინანსების შესახებ, თანხა გადაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან შესრულების წერილის მიღების შემდეგ;)

მოგეხსენებათ სოციალური დაცვის სამსახური ორგანიზებას უწევს მოქალაქეების მხრიდან შემოსული განცხადებების განხილვას, შეისწავლის განცხადებებში აღნიშნულ საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მათ სათანადო დოკუმენტაციით შესაბამის საბჭოს სხდომაზე განსახილველად. განცხადებების განხილვის შედეგების შესახებ პასუხი მოქალაქეებს ეძლევათ წერილობით, აუცილებლობის შემთხვევაში სიტყვიერად, სატელეფონო საუბრით. არის შემთხვევები, როდესაც უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ერთი და იგივე მოქალაქე ან ოჯახი, ერთი და იმავე საკითხზე რამდენიმე განცხადებით მომართავს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას, აღნიშნულ შემთხვევაში სამსახური რეაგირებს მისი კომპეტენციის ფარგლებში; აქედან გამომდინარე **უარი ეთქვა და ჩამოიწერა 108 განცხადება;**

1. **მარჩენალდაკარგული ოჯახების** (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**6 განმცხადებელს -600 ლარის** ოდენობით;

2.**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების** (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**0 განმცხადებელს - 0 ლარის** ოდენობით;

3.**სოციალურად დაუცველის , შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის,ასევე ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების** სოციალური დაცვის პროგრამა - რომელშიც შედის: სოციალურად დაუცველის , შშმ პირის ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების დიაგნოსტიკის, მკურნალობის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი თანადაფინანსება/დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია-**666 განმცხადებელს - 325 309.18 ლარის** ოდენობით;

4.**ხანდაზმულების (90 წელი და ზემოთ)** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარებისპროგრამისკატეგორიითდახმარებაგაეწია-**16 განმცხადებელს -2400 ლარის** ოდენობით;

5.**ომის მონაწილე ვეტერანების და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**22 განმცხადებელს -1100 ლარის** ოდენობით;

6.**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის„** (17 ოქტომბერი) **აღსანიშნავად** – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით **-0 განცხადება;**

7.**გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახებზე სარიტუალო მომსახურებისთვის**, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**2 განმცხადებელს -500 ლარის** ოდენობით;

8. **ახალშობილებზე** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**89 განმცხადებელს -21 750 ლარის** ოდენობით;

9. **მრავალშვილიან (არასრულწლოვანი ხუთი შვილი და ზემოთ) ოჯახებზე** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**10 განმცხადებელს -1500 ლარის** ოდენობით;

10. **მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**1 განმცხადებელს -100 ლარის** ოდენობით;

11. **ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დაკმაყოფილდა **-124 განმცხადებელი -62 000 ლარის** ოდენობით;

12. **ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება/დაფინანსების** პროგრამის კატეგორიით დახმარება / დაფინანსება გაეწია **25 განმცხადებელს -11 166. 58 ლარის** ოდენობით;

13. **დიალიზით მოსარგებლე პირების** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია - **13 განმცხადებელს -23 000 ლარის** ოდენობით;

14.**ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**9 განმცხადებელს -9 000 ლარის** ოდენობით;

15. მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი და ომის მონანილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა **ქირურგიული ოპერაციების** ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) თანადაფინანსების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია - **115 განმცხადებელს -85 700.74** ლარის ოდენობით;

16. **C ჰეპატიტით** დაავადებულთა გამოკვლევის ერთჯერადი თანადაფინანსების პროგრამის კატეგორიით **-0 განცხადება;**

17. სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმური **ენდოსკოპიური გამოკვლევის** ერთჯერადი თანადაფინანსების პროგრამის კატეგორიით **-0 განცხადება;**

18. 0-დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის **ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით** გამოკვლევების ერთჯერადი თანადაფინანსების პროგრამის კატეგორიით **-0 განცხადება;**

19. **სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების** მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია-**14 განმცხადებელს - 14 779 ლარის** ოდენობით;

20. **კოვიდ (COVID-19)** გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/ თანადაფინანსება პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია **-3 განმცხადებელს - 972 ლარის** ოდენობით;

21. **სტიქიით** (მათ შორის – ხანძარი) დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამის კატეგორიით დახმარება გაეწია - **53 განმცხადებელს - 70 100 ლარის** ოდენობით;

22. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული **უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის** პროგრამის კატეგორიით - **1 განმცხადებელს - 21 000 ლარის** ოდენობით;

23. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, **საკანცელარიო ნივთების შესაძენად** დახმარება გაეწია - **37 განმცხადებელს** (67 ბენეფიციარს) - **6650 ლარის** ოდენობით;

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) **კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების** შესაძენად დახმარება გაეწია - **16 განმცხადებელს** (24 ბენეფიციარს) - **2400 ლარის** ოდენობით;

- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამით განსახილველად შემოსულია 85 (165 ბენეფიციარი) განცხადება, დაკმაყოფილდა 53 (91 ბენეფიციარი) განმცხადებელი (კრიზისული ოჯახი);
- 16 განმცხადებელს (24 ბენეფიციარს) გაეწია კვების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება 2400 ლარის ოდენობით, ხოლო 37 განმცხადებელს (67 ბენეფიციარი) საკანცელარიო ნივთების დაფინანსება 6650 ლარის ოდენობით;
- 31 კრიზისული ოჯახის განცხადება განხილვის პროცესშია;
- 1 განცხადება ჩამოწერილია;
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შექმნილია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისული ოჯახების მონაცემთა ბაზა სულ 178 ოჯახი (უშგული-9 ოჯახი, კალა-6 ოჯახი, იფარი-9 ოჯახი,ადიში-3 ოჯახი, წვირმი-12 ოჯახი, იელი-10 ოჯახი, მულახი-2 ოჯახი, მესტია-2 ოჯახი, ლენჯერი-8 ოჯახი, ლატალი-9 ოჯახი,ბეჩო-6 ოჯახი, ეცერი-4 ოჯახი, ცხუმარი-12 ოჯახი, ლახამულა-2 ოჯახი, ფარი-15 ოჯახი, ილლიანი-7 ოჯახი, ხაიში-6 ოჯახი, ჭუბერი-47 ოჯახი);
- აღნიშნული ოჯახები სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ეტაპობრივად გადამოწმდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკების მიერ;
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო დახმარების გაწევა წარმოადგენს. აღნიშნული კუთხით წლების განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები და შემუშავდა პროგრამები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მათთვის შესაბამისი სერვისების გეგმაზომიერი მიწოდება. მესტიის მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობითა (მათ შორის ფინანსური) და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, 2019 წლიდან დაბა მესტიაში ფუნქციონირებს კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებსა და მათ ოჯახებს უსასყიდლოდ სთავაზობს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის, ადრეული განვითარების, ხანდაზმულთა და შშმ პირთა შინმოვლისა და რეაბილიტაცია-სამკურნალო მასაჟის პროგრამებს. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ცენტრში პროფესიულ ვიზიტებს ახორციელებენ სხვადასხვა მოწვეული, მათ შორის უცხოელი სპეციალისტები და თითოეულ მათგანს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს არსებული რესურსით. სარეაბილიტაციო ცენტრში არსებული თითოეული მომსახურება/სერვისი ორიენტირებულია როგორც ბენეფიციართა განვითარებაზე, აბილიტაციაზე და მათ სოციალურ ინტეგრაციაზე, ასევე ოჯახებისთვის მხარდამჭერი სისტემის შექმნასა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერებაზე. აღნიშნული პროგრამები ხელმისაწვდომია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნებისმიერი ბენეფიციარისთვის, სამიზნე ჯგუფისა და ასაკობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

დღის ცენტრი -არსებული სერვისი განკუთვნილია დაბა მესტიაში და სოფ: ლენჯერში, ლატალში და მულახში მცოხვრები, 6-დან 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის. დღის ცენტრის მომსახურება ბენეფიციარებს მიეწოდებათ ყოველდღე, შაბათ-კვირისადაუქმედღეებისგარდა, მინიმუმ 3 საათის განმავლობაში და გულისხმობს როგორც ბენეფიციართა ტრანსპორტირებას და ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას, ასევემათი ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური საჭიროებების გამოვლენას და აკადემიური, ადაპტური, სოციალურ-კომუნიკაციურ უნარების განვითარებაზე ზრუნვას. დამატებით დღის ცენტრი უზრუნველყოფს ფსიქოლოგის, ხელოვნების თერაპიის, მეტყველების თერაპიის, სენსორული ინტეგრაციის სერვისების, რიტმული შეზელვისა და სამკურნალო ვარჯიშების ხელმისაწვდომობას (10 ბენეფიციარი);

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი გულისხმობს სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე);

ზრდასრულების (18 წელს და ზემოთ მყოფი პირები) რეაბილიტაციის სერვისი გულისხმობს ფიზიოთერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებას. არსებული სერვისი, ასევე დამატებით მოიცავს ტრანსპორტირებას (სახლიდან ცენტრამდე და პირიქით) და კვებას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე);

შინ მოვლის სერვისი, რომელიც გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნელის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას, კონსულტაციების გზით (24 ბენეფიციარი)

ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებასა და მიტოვების პრევენციას. ასევე, მათი მშობლების განათლებასა და გაძლიერებას ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში (8 ბენეფიციარი);

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძლებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჩასახლების პროგრამა

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტო ეტაპობრივად ახორციელებს სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახთა განსახლების პროგრამას, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სამინისტროდან გადასამოწმებლად შემოვიდა 45 ოჯახის სია. მოთხოვნის შესაბამისად 9 ოჯახზე ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გადაგზავნილია სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოში. 8 ოჯახზე მიმდინარეობს საქმისწარმოება და 28 ოჯახზე არ დადასტურდა დაზარალების კატეგორია.



„ბეთქილი“- გაცოცხლებული სვანური მითი

სვანურ ფოლკლორში უამრავი ლეგენდაა შემორჩენილი მონადირე ბეთქილის და ნადირობის ქალღმერთ დალის შესახებ.

მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლში „ბეთქილი“ სწორედ ეს ლეგენდა ცოცხლდება თანამედროვე ხედვით და თეატრალური ხერხებით. ერთმოქმედებიანი მიმოდრამის სცენარი, მწერლის და დრამატურგის, ევა მარგიანის პიესის „ბეთქილის“ ინსპირაციით შეიქმნა, რომელიც არავერბალური ფორმით და საინტერესო რეჟისორული ჩანაფიქრით დადგა რეჟისორმა, კახა ბაკურაძემ. სვანური მითოლოგიის მისტიკით გაჯერებულმა წარმოდგენამ, უკვე მოხიბლა და დაიპყრო მაყურებლის გული.

სპექტაკლის პრემიერა პირველად 2020 წლის 12 ოქტომბერს შედგა და უკვე უამრავი გულშემატკივარი შეიძინა და მრავალი მონონება დაიმსახურა. წარმოდგენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსმედიის მხრიდან, დაიწერა სტატიები და რეცენზიები.

რეალობასთან შერწყმულმა მითების მისტიკამ დროს გაუძლო. სვანური ლეგენ-

დები დღემდე გადავჯაჭვულია თანამედროვე ცხოვრებასთან და ბევრ სვანს, გულის სიღმეში ისევ სჯერა, რომ იქ, სადღაც, თეთრ კლდეებზე, დალი დალალებ ჩამოშლილი ისევ გლოვობს ბეთქილს...

„სვანეთში, ერთი მონადირის ოჯახში ვაჟიშვილი, ბეთქილი იბადება, დრო თვალსა და ხელს შუა გაქრის, ბეთქილს თამარი უყვარდება და ნიშნობის რიტუალიც ტარდება, თამარის მამა მშვილდსარს ჩუქნის და ბეთქილი სანადიროდ მიდის, სწორედ ნადირობის დროს გადაწყდება დალის მიერ ნიშნდასმულ ჯიხვებს, რომლებიც მიიტყუებენ ნადირთღვთაების სამფლობელოში...

ნადირობის დროს ქარაფებში ჩახერგილი მონადირეები, სწორედ ამ ნიშნდასმულ ჯიხვებად გვევლინებიან, ბეთქილიც ერთ-ერთ ნიშნდასმულ ჯიხვად გადაიქცევა და ქარაფებში რჩება, როგორც სიმბოლო და-

ლის და ბეთქილის სიყვარულისა...„

აღსანიშნავია სპექტაკლის შექმნის ისტორია. პრემიერამდე ორი თვით ადრე, აგვისტოს თვეში, ა(ა)იპ „მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა“ მონაწილეობა მიიღო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“, სადაც პროექტმა დადებითი შეფასება მიიღო და მოიპოვა გრანტი 15 350 ლარის ოდენობით.

მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექციამ, პანდემიის გამო შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, უმოკლეს დროში შეძლო პროექტის განხორციელება და „მესტიის ლეო ფილფანის სახელობის თეატრის“ სცენაზე გაცოცხლდა სვანური მითი ნადირთღვთაების დალისა და მონადირე ბეთქილის სიყვარულის შესახებ.

პრემიერა, რეგულაციების დაცვით, ლეო ფილფანის სახელობის თეატრის ღია სივრცეში გაიმართა. სპექტაკლის რეჟისორად მოწვეულ იქნა „მოძრაობის თეატრის“ დამფუძნებელი, მსახიობი და რეჟისორი, კახა ბაკურაძე. დალის როლის შემსრულებლად ნიჭიერი მსახიობი, თაკო ცქვიტინიძე მოინვიეს, ბეთქილის დედის როლი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა, ლილე ფილფანმა მიირგო.

აღსანიშნავია პროექტის ძირითადი იდეა ფიქსი, რომ სპექტაკლში მონაწილეობა მიეღო ადგილობრივ ნიჭიერ თაობას.

სპექტაკლში მესტიის ფოლკლორულ ანსამბლ „რიჰო„-ს ახალგაზრდა თაობა იღებს მონაწილეობას, რომლებიც სვანური ფოლკლორის, სიმღერისა და ფერხულის გარდა გასაოცრად ასახიერებენ ჯიხვების პერსონაჟებს და ასრულებენ შთამბეჭდავ აკრობატულ ნომრებს.

დალის როლის შემსრულებლი მოწვეული მსახიობი, მოგვიანებით წამოდგენებში ადგილობრივმა მოყვარულმა მსახიობმა, ნიჭიერმა, მარიანა იოსელიანმა შეცვალა.

„ბეთქილის“ როლის შემსრულებელი ადგილობრივი, მოყვარული მსახიობი, დავით რატიანი, შემდგომ წარმოდგენებში შეცვალა ასევე ადგილობრივმა ახალგაზრდა მოცეკვავემ, დათა ფილფანმა. ბეთქილის პერსონაჟი მაყურებელში ყოველთვის დიდ აღფრთოვანებას და მოწონებას იმსახურებს, შემსრულებელი მსახიობები კი ერთმანეთს ტოლს არ უდებენ როლის შესრულებაში.

სპექტაკლში გამოყენებულია ჩრდილების თეატრი, რომლის რეკვიზიტები შექმნილია კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელგარჯილობის პედაგოგების (ბელა ვიბლიანი, თეა ხერგიანი, ნატო ხოჯელანი) და მათი ნიჭიერი მოსწავლეების მიერ, ჩრდილების თეატრის პროფესიონალი მსახიობი, ვასილ ამურველაშვილი, მოგვიანებით შეცვალა ადგილობრივმა, სკოლის მოსწავლემ, საბა ფალიანმა.

სპექტაკლის კომპოზიტორი გახლავთ სანდრო ნიკოლაძე, რომელმაც სპეციალურად ამ სპექტაკლისთვის შექმნა შთამბეჭდავი მუსიკა, დალის ტირილის მისტიური კომპოზიცია კი ადგილობრივ ფოლკლორისტს, მადონა ჩამგელასს ეკუთვნის.

სპექტაკლის ქორეოგრაფი გახლავთ, გიორგი მერლანი, ლოტბარი კი დავით შუკვანი.

სპექტაკლში სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემადგენლობით მონაწილეობენ: გეგი ფალიანი, მარიამ ჩართოლანი, კესო ხერგიანი, მონიკა კახბერიძე, მარიამ ნავერიანი, ლალი პავლიაშვილი, გოგჩა ფალიანი, გოგა უდესიანი, რამაზ ფილფანი, რამაზ ფილფანი (უმცროსი), თემურ ფირცხელიანი, გოდერძი აფციაური, ვაკო ხერგიანი, ნიკა იოსელიანი,

ლუკა რატიანი, გიორგი ფილფანი, გია ფილფანი, მამუკა შუკვანი.

მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ჩანაფიქრი სწორედ ეს იყო რომ აღმოეჩინა და დაესაქმებინა მესტიის მუნიციპალიტეტის ნიჭიერი მსახიობები.

აღსანიშნავია ასევე, რომ მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, გეგი ფალიანის და მისი მოადგილის რამაზ ფილფანის ინიციატივით, გამოიცა წიგნი, ღვაწლმოსილი სახალხო პოეტის და მთქმელის, ევა მარგიანის პიესის „ბეთქილ„-ის მიხედვით. წიგნის მაღალმხატვრული ილუსტრაციები ეკუთვნის ნიჭიერ შემოქმედს, დიდი მხატვრების ოჯახის წარმომადგენელს, ანა ფარჯიანს. ტექსტი ინგლისურ ენაზე თარგმნა დანა-ელენე ფარჯიანმა, წიგნის რედაქტორი კი გახლავთ, ლალი ნავერიანი-ფარჯიანი.



სპექტაკლის პრემიერიდან დღემდე, 20-ზე მეტი წარმოდგენა გაიმართა როგორც ადგილზე, ასევე დედაქალაქში. თბილისში სპექტაკლი ორჯერ იქნა წარმოდგენილი: მოძრაობის თეატრის სცენაზე და 21 ნოემბერს „სვანეთის დღეებზე“ ორბელიანების სასახლეში.

მიმდინარე წლის, ოქტომბრის თვეში მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის შემოქმედებითი გუნდი, თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, გასტროლით იმყოფებოდა ლიეტუვას რესპუბლიკაში, მესტიის მუნიციპალიტეტთან დამეგობრებულ ჟემაიტეს მხარეში, სადაც ქალაქ ტელშაის დრამის თეატრში ფესტივალის ბოლო დღე დაგვირგვინდა სპექტაკლით „ბეთქილი“. წარმოდგენამ გულგრილი არ დატოვა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე.

მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექციის ინფორმაციით, აღნიშნულმა სპექტაკლმა დიდი გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა, რაც მოსალოდნელი იყო, ასევე მზადდება ამ მიმართულებით ახალი პროექტის განხორციელება, ადგილობრივი რესურსის გამოყენებით, რადგან სვანური თემატიკა და სვანური ფოლკლორი საინტერესოა ყველა ტიპის მაყურებლისთვის.

ბესარიონ ნიჟარაძის 170 წლის იუბილე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დეკანოზ, ბესარიონ ნიჟარაძის დაბადებიდან 170 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციის თემატიკა ორ ნაწილად იყო დაყოფილი. ღონისძიების პირველი ნაწილი ეხებოდა ბესარიონ ნიჟარაძის გახსენებას, სადაც მისასალმებელი სიტყვით აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, ვიცე-პრემიერი, თეა წულუკიანი, თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ჯაბა სამუშია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ნუნუ მიცკევიჩი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი კულტურისა და სოციალურ საკითხებში, ლევან კიკვიძე და საქართველოს პარლამენტის ნევრი, ლევან იოსელიანი.

კონფერენციის მეორე ეტაპზე, რომელიც სვანეთის ისტორიულ, ლინგვისტურ და ეთნოგრაფიულ საკითხებს შეეხებოდა, სხვა მომხსენებლებთან ერთად, აუდიტორიის წინაშე წარსდგა მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი კულტურისა და

სოციალურ საკითხებში, სამეცნიერო თემით "მედიაციის ინსტიტუტი სვანეთის ტრადიციულ ყოფაში".

ღონისძიება მოიცავდა ბესარიონ ნიჟარაძის ფოტოების გამოფენას და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ უნივერსიტეტის პროფესორი, როზეტა გუჯეჯიანი.

მესტიის და ზემო სვანეთის მიტროპოლიტის ლოცვა-კურთხევით, კონფერენციაში მონაწილეობა იღუმენმა პეტრემ მიიღო.

აუდიტორიის წინაშე წარსდგა მესტიის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“.

ბესარიონ ნიჟარაძე მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადო მოღვაწეა (1852-1919). სასულიერო მოღვაწეობის გარდა იგი აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებთან და აქვეყნებდა სტატიებს თავისუფალი სვანის, ბესარიონ სვანისა და სვანის ფსევდონიმებით.

„ქალები და ახალგაზრდები, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისთვის“

ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, პროექტის ფარგლებში - „ქალები და ახალგაზრდები, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისთვის“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრა ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა და მიზნად ისახავდა:

2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ გაცნობასა და მიმოხილვას;

2020-2022 წლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტებში გუს რეზოლუცია #1325-ის ლოკალიზაციის პროცესების შეფასებას, გამოწვევების გაცნობასა და კარგი პრაქტიკების გაზიარებას;

ადგილობრივ სამოქმედო გეგმებში ქალების საჭიროებების გათვალისწინებას;

ქალთა საინფორმაციო ცენტრის ექსპერტებმა წარმოადგინეს პრაქტიკული დავალებები ერთი ფანჯრის პრინციპის მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ხელს შეუწყობს ქალების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ადვოკატირების პროცესის ეფექტურად წარმართვას.

შეხვედრას ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი პირები, ექსპერტები, გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები და ადგილობრივი თემის ლიდერი ქალები ესწრებოდნენ.

ამასთან, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა დაიწყო ჰუმანიტარული აქცია, რომელიც მიზნად ისახავს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იდლიანის საბავშვო ბაღის სათამაშოებით აღჭურვას.

პროექტს „ქალები და ახალგაზრდები, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისთვის“, ქალთა საინფორმაციო ცენტრი გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN Women Georgia-ს მხარდაჭერით ახორციელებს.

ჰარმონიზაციის ცენტრის ვიზიტი მესტიაში

16-17 ნოემბერს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი (ჰარმონიზაციის ცენტრი).

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები ჩატარდა მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, საკრებულოს წარმომადგენლებსა და ა(ა)იპ-ების დირექტორებთან, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის ცნობადობის გაზრდის მიზნით.

შეხვედრაზე, მიმდინარეობდა შიდა აუდიტის სუბიექტის ინსტიტუციური გაძლიერება, ფინანსთა სამინისტროსა და მესტიის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა და შიდა აუდიტის ხარისხის გარე შეფასების შედეგების მონიტორინგი.

ასევე, ხაზი გაესვა საჯარო ფინანსების ეფექტური მართვის მნიშვნელობას, მაღალმთიან რეგიონში ძლიერი შიდა აუდიტისა და გამართუ-

ლი შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

სამუშაო შეხვედრას უძღვებოდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ირმა გელანტია-ახვლედიანი და ამავე დეპარტამენტის წარმომადგენელი, ელეონორა ლომინეიშვილი.

შეხვედრაში, მონაწილეობდა, სსიპ შემოსავლების სამსახურის შიდა აუდიტის წარმომადგენელი, თათია უდესიანი, რომელმაც შიდა აუდიტორებს გაუზიარა შემოსავლების სამსახურის გამოცდილება საუკეთესო პრაქტიკების შესახებ და შემუშავებული დოკუმენტები.

რეფორმის მაკოორდინირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი (ჰარმონიზაციის ცენტრი), რომელიც უზრუნველყოფს სისტემის ორივე მიმართულების: როგორც შიდა აუდიტის, ისე ფინანსუ-

რი მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასებასა და ჰარმონიზაციას.

შესაბამისად აღნიშნული დეპარტამენტის მიერ, დაიწყო რეფორმის დანერგვა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებშიც, მათ შორის, მესტიის მუნიციპალიტეტში. ვინაიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის ფუნქციის თანაბარი განვითარება, როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საჯარო ადმინისტრირებაში სახელმწიფო ფინანსების ეფექტური მართვის პრინციპების დამკვიდრების მიზნით, ქვეყნის საჯარო სექტორში 2010 წლიდან მიმდინარეობს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა, რომლის მნიშვნელობაც განპირობებულია საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებითა და მისი დანერგვის შედეგად მიღებული პოტენციური სარგებლით.

რეფორმის განხორციელება ხელს უწყობს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულების გამართულ, მენეჯერულ ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ ფუნქციონირებას და შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების მეტად მიზნობრივ, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას.

„სვანური დღეები“ ორბელიანების სასახლეში

21 ნოემბერს, პრეზიდენტ, სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით, ორბელიანების სასახლე დაეთმო რეგიონულ კვირეულს, რომელიც გაიხნა „სვანეთის დღეებით“ . საქართველოს პრეზიდენტის სასახლის სივრცე სამი დღის განმავლობაში დაეთმო სვანეთის მოსახლეობას.

„რეგიონების კვირეული“ პრეზიდენტის ინიციატივით დაფუძნდა და მისი მიზანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკურ-კულტურული პოტენციალის წარმოჩენა, რეგიონების მრავალფეროვნების ხაზგასმა და მათი პოპულარიზაცია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო არენაზე. ინიციატივის ფარგლებში, პირველად საქართველოს პრეზიდენტის სასახლის სივრცე მთლიანად დაეთმო საქართველოს ყველა რეგიონს, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა წარმოედგინა საკუთრი თავი, საქმიანობა და მიღწევები.

„სვანეთის დღეები“ საზეიმოდ გახსნა მესტიის ფოლკლორულმა ანსამბლმა „რიჰომ“ და ანსამბლმა „ნენსკრამ“. ღონისძიების ფარგლებში

გამოიფინა ადგილობრივი მხატვრის, ლეო ხოჯელანის ნახატები, ასევე გამოიფინა ფოტოგრაფის, ვახო ნავერიანის ნამუშევრები.

ორბელიანების სასახლეში სვანეთიდან ჩამოსულმა მზარეულებმა, შეფმზარეულებისა და სტუდენტებისათვის სვანური სამზარეულოს მასტერკლასი ჩაატარეს და ადგილობრივი ტრადიციული კერძების მომზადების სპეციფიკაზე ისაუბრეს.

„სვანური დღეების“ ფარგლებში, წარმოდგენილი იყო მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სპექტაკლი „ბეთქილ“ .

ორბელიანების სასახლეში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა შეხვედრები და დისკუსიები, სადაც საუბარი იყო სვანეთის პოტენციალზე, რეგიონის პრობლემებზე და გამოწვევებზე.

ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების მონაწილეობით ორბელიანების სასახლეში გაიმართა პანელური დისკუსიები სვანეთის თვითმმართველობის, ენერგეტიკის, რეგიონის ეკონომიკური პოტენციალისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

„სვანეთის დღეების“ დასკვნით

ღონისძიებაზე ორბელიანების სასახლეში პრეზიდენტმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს უმასპინძლა და მათ სვანეთის ისტორიის შესახებ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული მასალა - ექვთიმე თაყაიშვილის სვანური ექსპედიციის ფოტოები და ბესარიონ ნიჟარაძის საარქივო მასალის გამოფენა დაათვალიერებინა. „სვანეთის დღეები“, მომღერალ სოფიო გელოვანის კონცერტით, საზეიმოდ დაიხურა.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ,,სვანეთის დღეების" მონაწილეებს - სვანეთის ადგილობრივ მოსახლეობას და პროექტის ორგანიზატორებს, რომელმაც სამი დღის განმავლობაში, ორბელიანების სასახლეში საკუთარი რეგიონი წარადგინეს.

საქველმოქმედო ღონისძიება

11 ნოემბერს, მესტიის მესამე საჯარო სკოლაში ჩატარდა ღონისძიება, სახელწოდებით "შემოდგომის გაცილება".

ღონისძიება ორი ნაწილისგან შედგებოდა. მოსწავლეები აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ პედაგოგ, დოდო მერლანის ლექსებით და შეასრულეს სხვადასხვა ნაწარმოებების მიხედვით დადგმული თეატრალური წარმოდგენები.

ღონისძიების მეორე ეტაპზე კი მოეწყო საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. მოსწავლეებმა გასაყიდად გამოიტანეს საკუთარი ხელნაკეთი ნამუშევრები და მათ საკუთრებაში არსებულ საინტერესო ნივთები: წიგნები, სათამაშოები და ა.შ, რაც სიმბოლურ ფასად ადგილზე გაიყიდა.

შეგროვებული თანხას, რომელმაც 1086 ლარი შეადგინა, მოსწავლეებმა 5 წლის ელენე ხერგიანის დასახმარებლად გადარიცხეს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის მესამე საჯარო სკოლას, აღსაზრდელებს და მათ მშობლებს გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

სიკეთე გადამდებია!

კოშკების რეაბილიტაცია

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, უშგულში, კიდევ 6 კოშკს რეაბილიტაცია ჩაუტარა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ეგიდით, მესტიის მუნიციპალიტეტის უშგულის თემში რთულ მდგომარეობაში მყოფი კიდევ ექვსი სვანური კოშკი აღადგინეს: მესტიის მუნიციპალიტეტის უშგულის თემის სოფელ მურყმელში ემზარ კაკრიაშვილისა და თამარ ღვაჩლიანის, სოფელ ჟიბიანში ზამირ რატიანისა და შურა ნიჟარაძის, ხოლო სოფელ ჩაჟაშში მარინე და მურმან ნიჟარაძეების კოშკები რეაბილიტირდა. სამუშაოები ჩაუტარდა კოშკების კედლებს, გაკეთდა გადახურვისთვის საჭირო ხის კონსტრუქციები, შეიფიცრა სახურავი, შესაძლებელი გახდა ხის მასალის ცეცხლდაცვა, ჰიდროიზოლაცია, სახურავის ფიქლით დაფარვა, გაკეთდა სართულშორისი გადახურვები. სამუშაოების ღირებულება სულ 324 281 ლარია.

შეგახსენებთ, რომ უშგულში მოცემული სამუშაოების მწვავე საჭიროება 2021 წლის ივლისში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის სვანეთში გამართული სამუშაო ვიზიტისას გამოიკვეთა. სტუმრობისას მინისტრი ადგილზე გაეცნო იუნესკოს ნუსხაში შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობასა და მაცხოვრებელთა პოზიციაც მოისმინა. მინისტრი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ უშგულის თემში შექმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად სამინისტრო აუცილებლად იმოქმედებდა.

პირობის შესრულება გასულ წელსვე დაიწყო, როდესაც 2021 წლის ბოლოს უშგულის თემის ყველაზე რთულ მდგომარეობაში მყოფი რატიანების, ჭელიძეებისა და ღვაჩლიანების სამი კოშკი აღდგა. სწორედ ამ პროცესის გაგრძელებაა მიმდინარე წელს უშგულის თემის კიდევ ექვსი კოშკის რეაბილიტაცია.

წყარო: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია ნიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია ნიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com